



პროექტი „50 საჯარო მოხელე“ გადამზადების კურსის განრიგი

ვადები:	<ul style="list-style-type: none">- 3 სექტემბერი – პროექტის პრეზენტაცია- 14 – 30 სექტემბერი – კონკურსი, გასაუბრება- 5 ოქტომბერი - 31 დეკემბერი – გადამზადების კურსის I ეტაპი- 3 იანვარი - 31 მარტი – გადამზადების კურსის II ეტაპი
დაფინანსება:	პროექტი სრულად ფინანსდება იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ.
პროექტში მონაწილეობა:	პროექტის – „50 საჯარო მოხელე“ – მონაწილე შეიძლება იყოს 21-25 წლის ასაკის ახალგაზრდა, საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული ნებისმიერი სპეციალობით (წარმოსადგენია დიპლომი ან ცნობა უნივერსიტეტიდან), ფლობს ინგლისურ ენას, დაინტერესებულია საჯარო სამსახურის მუშაობის სპეციფიკით და მზად არის, ჩაერთოს გადამზადების 6-თვიან პროგრამაში.
პროექტის მიზანი:	<p>მოცემული პროექტის მიზანია ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საჯარო სამსახურის მუშაობის პრინციპების გაცნობა და პრაქტიკული გამოცდილების მიღება.</p> <p>პროექტი ითვალისწინებს ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობას, პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარებას, ასევე, ემსახურება ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებას, მართლშეგნების ამაღლებას, საჯარო სამსახურის სისტემაში ორიენტაციისა და თავის დამკვიდრებისთვის მათ სათანადო ცოდნით აღჭურვას.</p>
პროექტში მონაწილეთა შერჩევის ეტაპები:	<p>I. აპლიკაცია</p> <p>II. ინტელექტის ტესტი</p> <p>III. ინგლისური ენა</p> <p>IV. გასაუბრება</p> <p><u>შენიშვნა:</u></p> <ul style="list-style-type: none">- ტესტირებას ინგლისურ ენაში ჩაატარებს ბრიტანეთის საბჭო (British Council Georgia). ენის ცოდნის დონის განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნება Aptis ტესტი. შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადასვლა მოხდება რეიტინგული სიით.- გასაუბრებამდე კანდიდატები შეავსებენ პიროვნულ კითხვარს. პიროვნული

	<p>მახასიათებლების შესახებ მიღებული ინფორმაცია გასაუბრების ეტაპზე გამოყენებული იქნება როგორც დამხმარე საშუალება. წარმატებულ კანდიდატებს გადაეცემათ ინდივიდუალური დახასიათება და რეკომენდაცია, რაც მათ დაეხმარება საკუთარ თავზე მუშაობასა და თვითანალიზში.</p> <p>კანდიდატთა შერჩევა მოხდება გენდერული ბალანსის გათვალისწინებით.</p>
<p>პროგრამის მოცულობა:</p>	<p>კურსი გაგრძელდება 6 თვეს (67 დღე – 469 საათი). ტრენინგები ჩატარდება როგორც სამუშაო, ისე უქმე დღეებში. სასწავლო კურსი განხორციელდება 2 ეტაპად:</p> <ul style="list-style-type: none"> – I ეტაპი – ოქტომბერი-დეკემბერი – 41 დღე (287 საათი); – II ეტაპი – იანვარი-მარტი – 26 დღე (182 საათი). <p>მეორე სემესტრში სტუდენტები იმუშავებენ კონფერენციაზე წარსადგენ რეფერატებზე. ამდენად, სასწავლო კურსების ხანგრძლივობა შემცირებულია. მეორე სემესტრში პროექტის მონაწილეები ძირითად დროს დაუთმობენ კონფერენციაზე წარსადგენ პრეზენტაციებს. კომისიის მიერ განხილული რეფერატები გამოიცემა სახელმძღვანელოს სახით.</p> <p>გარდა ტრენინგებისა, სასწავლო კურსი მოიცავს სხვა დამატებით შემეცნებით/სასწავლო ღონისძიებებს.</p>
<p>სწავლების ენა:</p>	<p>სასწავლო პროგრამა წარმართება ქართულ ენაზე, თუმცა პროექტის ფარგლებში დაგეგმილია უცხოელი ექსპერტების მოწვევა და რეფერატებზე მუშაობის პროცესში ინგლისურ ენაზე ლიტერატურის დამუშავება.</p>
<p>სასწავლო მიზნები:</p>	<p>პროექტის მონაწილეები პროგრამის დამთავრების შემდეგ შეძლებენ (ცოდნა და გაცნობიერება):</p> <ul style="list-style-type: none"> - განსაზღვრონ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო მმართველობის ძირითადი პრინციპები, ცნებები და ინსტიტუტები, ასევე საჯარო სამსახურში მოქმედი სპეციალური ნორმები; - განსაზღვრონ ის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო სამსახურში პროფესიულ საქმიანობასთან, პასუხისმგებლობასა და ეთიკასთან; - განსაზღვრონ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებში საჯარო ორგანიზაციების მნიშვნელობა და მათი გავლენა ყოველდღიურ ცხოვრებაზე; - განსაზღვრონ პიროვნების ძირითადი სამუშაო კომპეტენციები და პიროვნული პოტენციალის რეალიზების გზები; - ჩამოაყალიბონ ორგანიზაციის მართვის, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითადი პრინციპები.

პროექტის მონაწილეები პროგრამის დამთავრების შემდეგ შეძლებენ (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები)

- ეფექტიანად მართონ პირადი რესურსები, გაიუმჯობესონ პიროვნული სამუშაო კომპეტენციები;
- განივითარონ ლიდერისა და გუნდის მართვის უნარები;
- გაიუმჯობესონ ორგანიზაციული მართვის უნარები;
- გაიუმჯობესონ პრობლემური სიტუაციის მართვის უნარი;
- გაიუმჯობესონ იდეების გენერირების, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი;
- განახორციელონ მოვლენების ანალიზი და შეფასება საჯარო სამსახურის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**სწავლების
შედეგების
მიღწევის
მეთოდები:**

სწავლების შედეგების მისაღწევად გამოიყენება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების მეთოდები თითოეული საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით:

- ლექცია
- დისკუსია
- ჯგუფური მუშაობა
- პრეზენტაცია
- დამოუკიდებელი მუშაობა
- პრაქტიკული სამუშაო
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- სიმულაციები და როლური თამაშები
- შემთხვევის ანალიზი
- გონებრივი იერიში
- დემონსტრირება

**სწავლების
შედეგების
შეფასება:**

პროგრესის შეფასება – თითოეული ტრენინგის დასაწყისში და ბოლოს მონაწილეები შეავსებენ ტესტს, რათა გაიზომოს პროგრესი და შეფასდეს სწავლების შედეგი;

შუალედური ტესტირება – 3 თვის შემდეგ, I ეტაპის ბოლოს, ჩატარდება შემაჯამებელი შუალედური ტესტირება (100 ტესტური დავალება, მინიმალური ზღვარი – 75%);

საბოლოო ტესტირება – II ეტაპის ბოლოს ჩატარდება შემაჯამებელი ტესტირება (100 ტესტური დავალება, მინიმალური ზღვარი – 75%).

**შედეგები,
რომელთაც
მიიღებენ
პროექტის
მონაწილეები:**

- სერტიფიკატი;
- სწავლის შანსი ბრიტანეთის საერთაშორისო ბიზნესსკოლაში (BBSI) – „Management, Leadership & Human Resources“;
- რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრიდან;

- პიროვნული სამუშაო კომპეტენციების განვითარება;
- ორგანიზაციული მართვის უნარების განვითარება;
- კონტაქტების გაფართოება;
- ექსპერტებთან (მენტორებთან) მუშაობის გამოცდილება;
- კრებულის გამოცემის შესაძლებლობა თანაავტორობით;
- უცხოელ ექსპერტთა გამოცდილების გაზიარება;
- პრაქტიკა იუსტიციის სამინისტროში;
- საჯარო სამსახურის სპეციფიკის გაცნობა მომავალი კარიერის დაგეგმვისთვის.